სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

76498236598424

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240322819

რეგისტრაციის თარიღი

18.03.2024 წ

ნოტარიუსი: ხატია ბერიძე
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75
ტელეფონი: +995 032 2 4348 20; + 995 5 91 91 21 91

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის თვრამეტი მარტი
საქართველოს ნოტარიუსი ხატია ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი: ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75 (0171)

საქართველოს ნოტარიუს ხატია ბერიძის მიერ შემოწმებულია მარწმუნებლის პირადობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის პირად მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, აგრეთვე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

<u>მარწმუნებელი:</u>

ირაკლი დვალი (დაბადების თარიღი: 10.07.1982 წელი; პირადი ნომერი: 01019013249; რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N 7, ბ. 18), როგორც შპს „დიღმის ველი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405246149; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N 7, ბ. 18) დირექტორი, თანახმად შპს „დიღმის ველი“-ს ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23162820, 10/11/2023 17:47:25)

<u>რწმუნებული:</u>

კობა მოდრეკილაძე (დაბადების თარიღი: 25.05.1971 წელი; პირადი ნომერი: 01023007690; რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქ. N 11, ბლოკი გ, ბ. 105)

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ირაკლი დვალი, როგორც შპს „დიღმის ველი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405246149) დირექტორი, რომელიც წინამდებარე რწმუნებულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი” კობა მოდრეკილაძეს, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული” ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1.<u>რწმუნებულების უფლებამოსილების ფარგლები:</u>

1.1 „რწმუნებული” უფლებამოსილია შპს „დიღმის ველი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405246149) კუთვნილი უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. თბილისის, ბოგ უოლშის ქუჩა საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიაში და მის სამსახურებში, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტში, მათ შორის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ტექ. ბიუროს არქივში, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, მიიღოს ნებართვა, აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, პროექტების შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამასთან დაკავშირებით, შეაგროვოს ყველა სახის დოკუმენტაციები, მიიღოს ან/და წარადგინოს ისინი, „მარწმუნებლის“

სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ინფორმაცია, მიიღოს გადაწყვეტილება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, განახორციელოს კორექტირება, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, მიიღოს დოკუმენტები/ ცნობები/ გადაწყვეტილებები /პროექტები/ შეთანხმებები/ ნებისმიერი ნებართვა, აგრეთვე ჩაატაროს ყველა ის ოპერაცია, რაც დაკავშირებულია წინამდებარე რწმუნებულებით გაცემული დავალებების შესრულებასთან.

რწმუნებულებაში ასახული ყველა მონაცემი მითითებულია „მარწმუნებლის“ განცხადებით.

2. რწმუნებულების კანონიერება:

2.1 არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

2.2 რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებლია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3. რწმუნებულის ვადებულებები:

3.1 რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს
კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

4. მარწმუნებლის ვალდებულებები:

4.1. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.

4.2 დავალების შესასრულებლად მარწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულს გადაუხადოს გასამრჯელო, რომლის ოდენობა დგინდება რწმუნებულისა და მარწმუნებლის ურთიერთშეთნხმებით.

5.რწმუნებულების მოქმედების ვადა:

5.1 რწმუნებულება ძალაშია 2025 /ორი ათას ოცდახუთი/ წლის 18 /თვრამეტი/ მარტის ჩათვლით.

5.2 მარწმუნებელს განემარტა, რომ ნებისმიერ დროს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია წინამდებარე რწმუნებულების გაუქმება, რის შესახებაც უნდა აცნობოს „რწმუნებულს“.

5.3 რწმუნებულება გაცემულია მინიჭებული უფლებამოსილებების სრულად ან/და ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

6. რწმუნებულების ძალაში შესვლა:

6.1 რწმუნებულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისთანავე.

7. რწმუნებულების ეგზემპლარების რაოდენობა:

7.1 რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 /სამი/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად,

რომელთაგან 1 /ერთი/ ინახება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცა მარწმუნებელს.

8. რწმუნებულების დანართი:

8.1 რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

8.1.1 შპს „დიღმის ველი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405246149) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

8.1.2 შპს „დიღმის ველი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405246149) წესდება (მიღებული მართვის ავტომატური საშუალების გამოყენებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდიდან) ინახება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში /ფოტო ასლი/.

9. სანოტარო მომსახურების საზღაური:

9.1 სანოტარო მომსახურების საზღაური სულ 40.40 /ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი/ ლარი. აქედან 30.00 /ოცდაათი ლარი და ნული თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 31-ე მუხლისა, 5.40 /ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

საქართველოს ნოტარიუსი ხატია ბერიძე